

ଲୋଞ୍ଜାଙ୍ଗ

**თეა თოფურია  
პარადის პრეზენტი**

მხატვარი: ია გიგოლაშვილი

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2010, 2024  
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-834-0

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

თეა თოფურია

**პარადის  
არდალეგები**

კლასგარეშე საკითხავი  
(6-9 წელი)



## **სარჩევი**

**პარადის არდადეგები 7**

**მოდრეიფე სოფელი 119**



# პარადის არდადეგები





## **სასტუმრო „ჩექმებიანი კატა“**

– შეავსეთ რეგისტრაციის ფურცელი!

როდესაც სასტუმროს პოლში შევიდნენ, ეკი მაშინ-  
ვე ყვითელ ჩემოდანზე ჩამოჯდა და კედლების თვალიე-  
რებას შეუდგა. მშობლები რეგისტრაციის ფურცლებს  
ავსებდნენ. ოჯახი გამუდმებით მოგზაურობდა და ეკიმ  
კარგად იცოდა, რომ ჩამოსაჯდომად ყველაზე მოსახერ-  
ხებელი ყვითელი ჩემოდანია, პოლში კი დროის გაყვანა  
მხოლოდ კედლების თვალიერებით შეიძლება.

– შემახსენე რა, სასტუმროს სახელი. – გადაულაპა-  
რაკა დედამ მამას.

– „ჩექმებიანი კატა“.



— ჰმ! — დედამ გრაფა შეავსო და ახლა ჩემოდნების თვლას შეუდგა.

კარის თავზე ჩექმებიანი კატის სურათი ეკიდა. კატას წითელი მაღალი ჩექმები ეცვა და გრძელი ულვა-შები ჰქონდა. მეორე კედელზე 12 საათი მიემაგრებინათ და ეკის გასაოცად ყველა სხვადასხვა დროს აჩვენებდა.

რეგისტრაციის შემდეგ შვეიცარმა დიდი გასაღებები აიღო და ნომრისაკენ გაუძლვა.

ეკი უხალისოდ მიაგორებდა თავის პატარა ჩემოდანს.

— ძალიან დავიღალე... — დედამ ჩანთები შესასვლელ-შივე დაყარა და ლოგინზე მიწვა, — რაღაც სახიფათოდ ძაგძაგებდა ეს ჩვენი თვითმფრინავი, არა? რამდენჯერ-მე ვიფიქრე, ნამდვილად ვვარდებით-მეთქი.

— არაა, უბრალოდ საჰაერო ორმოებში ვვარდებოდით.

— ისე, ნეტა რა უნდა ცაში ორმოებს. ეკი, დაიბანე ხელები და სავახშმოდ ჩავიდეთ. წარმოგიდგენიათ, ამ სასტუმროში ვახშამი სადილის დროსა აქვთ, სამ საათ-ზე. მოშიებასაც არ დაგაცლიან...

## რატომ არ არის ცაში გაჩერებები

ეკის დედა და მამა გამუდმებით ერთი ქვეყნიდან მეორეში დაფრინავდნენ. ეკი მათ იშვიათად ხედავდა. ეგონა, რომ მისი მშობლები ფრინველები არიან და როდესაც ზამთრდება, თბილ ქვეყნებში მიემგზავრებიან. კიდევ იმიტომ ეგონა, რომ, როდესაც სხვა ბავშვების მშობლები სახლიდან გადიოდნენ, იბარებდნენ, საქმეზე მივდივართო, ეკის მშობლები კი ყოველთვის ასე ამბობდნენ: „საქმეზე მივფრინავთ“. ჰოდა, ეკისაც ეგონა, რომ მისი მშობლები ფრინველები იყვნენ. თვითონ არაერთხელ უცდია, ცოტათი მაინც აფრენილიყო, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა და ამიტომ ყოველთვის დარდობდა. ძალიან გაუხარდა, როდესაც ერთ ზამთარს დედამ პატარა ჩემოდანი უყიდა და უთხრა, ამჯერად შენც ჩვენთან ერთად გამოფრინდებიო.

ეკი სიხარულისგან აღარ იყო. კარადიდან მაშინვე გადმოყარა ტანსაცმელი და ჩემოდანში ჩატენა, მერე ჩემოდანი მამას მიუთრია ჩასაკეტად.

მამას ძალიან გაუკვირდა.

— აბა, ეს რა გიქნია, გინდა გაიყინო? და ეკის მოგროვებული საზაფხულო ტანსაცმელი ისევ უკან ამოაწყო. მერე ჩემოდანში რეიტუზები, ბოტები და ჯემპრები ჩაალაგა.

„ალბათ, ამჯერად თბილ ქვეყნებში არ მივფრინავთ“, — გაიფიქრა განბილებულმა. — „მაშინ საერთოდ რატომ მივფრინავთ, ზამთარი აქაც კია“.

მეორედ ეკი მაშინ გაოცდა, როდესაც თვითმფრინავში ჩასხდნენ. აქამდე ყოველთვის ეგონა, რომ აეროპორტში მამა და დედა რაღაც მანქანით კი არა, თავისით მიფრინავდნენ, ანუ გასწორდებოდნენ, ხელებს აიქნევდნენ და... ჰაიდა! ეკის წარმოსახვაში მშობლების უკან სხვა მგზავრებიც მიფრინავდნენ და რომ არ მოსწყენოდათ, გზაში ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ.

სინამდვილეში მსგავსი არაფერი მომხდარა. ეკი და მისი მშობლები თეთრ, ფრთებიან ავტობუსში ჩასხდნენ და ცოტა ხნის შემდეგ ისეთ ქვეყანაში ამოყვეს თავი, სადაც ზამთარი არა, მაგრამ არც ზაფხული იყო.

– რატომ არსად გაჩერდა ავტობუსი? – ჰკითხა დედას, როდესაც თვითმფრინავი დაჯდა.

– ცაში გაჩერებები არ არის, შვილო. – უპასუხა დედამ.

ეკიმ არ დაიჯერა.

– აბა, ორმოები თუა?

თუმცა მერე ადვილად შეეჩინა. უკვე იცოდა, რომ თეთრ „ავტობუსში“ წყნარად უნდა მჯდარიყო (თუ საერთოდ დაიძინებდა, ხომ მით უკეთესი), აეროპორტში არაფრის დიდებით არ უნდა დაკარგულიყო და სასტუმროს ჰოლში კედლები უნდა ეთვალიერებინა.

– ხედავ, რა გონიერი შვილი გვყავს?! – ეკითხებოდა ხოლმე დედა მამას.

– აბა! ძალიან.

## 12 სხვადასხვა დრო

ამჯერად ეკი სასტუმროს სასადილოში იჯდა და ცდილობდა, უზარმაზარი ბუტერბროდის ნახევარი მაინც შეეჭამა. მერე სასტუმროს ეზოში გავიდა. მის დანახვაზე მიწაზე მჯდარი ციყვი მაშინვე ხეზე აძვრა. ეკის ყურადღება არ მიუქცევია. უკვე კარგა ხანი იყო, რაც მიხვდა, რომ ციყვების დევნას აზრი არა აქვს, მაინც ვერ დაიჭერ და ტყუილად მუხლები უნდა გადაიტყავო.

ეკი სკამზე ჩამოჯდა. ახლა დედა და მამა რამდენიმე დღეს კონფერენციებზე ივლიდნენ და თვითონ ან მარტო უნდა ყოფილიყო ნომერში ან ვინმე მომვლელ ქალთან – ძიძასთან ერთად. ეკის მარტო ერჩივნა, მაგრამ სასტუმროში ბავშვების უმეთვალყურეოდ დატოვება აკრძალული იყო.

„ნეტა, ისეთი მუდო მაინც არ იყოს, ამასწინათ რომ შემხვდა“, გაიფიქრა ეკიმ და წინასწარ ამოიოხოდა. მერე იგრძნო, რომ თავზე ციყვმა წინვები დააყარა.

„ძალიან უხასიათოები არიან ეს ციყვები“. დაასკვნა ეკიმ თავისთვის და სკამიდან წამოდგა. ვაითუ, ციყვს კაკალიც გავარდნოდა თათებიდან და ისიც ხომ ეკის მოხვდებოდა თავში.

– რა პატარა გოგოა! – მოესმა უცებ უკნიდან.

ეკიმ მოიხედა. მისკენ სასტუმროს ფორმაში გამოწყობილი კაცი მოდიოდა.

– სად არიან შენი მშობლები?

– სასტუმროში.

– მერე შენ მარტო გამოგიშვეს?

– დიახ.

– არ ეშინიათ, რომ დაიკარგო?

– რატომ უნდა ეშინოდეთ, ესეც ხომ აეროპორტი არ არის.

კაცმა ქუდი მოიხადა და ეკის დააკვირდა.

– პატარა გოგოს კვალობაზე ძალიან ჭკვიანი ჩანსარ. მოდი, აბა, შენი მშობლები მოვძებნოთ.

ეკი ისევ სასტუმროს ჰოლში აღმოჩნდა. იქ მეორე ფორმიანმა ქალმა ეკის მშობლების მოსაძებნად ნომრებში რეკვა დაიწო. ეკი კი, რადგან ყვითელი ჩემოდანი

აღარ ჰქონდა, დივანზე ჩამოჯდა და უკვე დათვალიერებული კედლების ხელახლა თვალიერებას შეუდგა.

– რატომ აჩვენებს ყველა თქვენი საათი არასწორად? – ჰკითხა იმ კაცს, რომელმაც მოიყვნა და რომელსაც იქ პორტის ეძახდნენ.

– არაფერიც, ყველა სწორად აჩვენებს.  
– ნუ მატყუებთ, მე საათის ცნობა ვიცი. ყველა საათი სხვადასხვა დროზეა.

– ეს იმიტომ, რომ ახლა სხვადასხვა ქალაქში სხვადასხვა დროა და ეს საათებიც დროს ამ ქალაქების მიხედვით აჩვენებენ: ზოგი პარიზის, ზოგი ნიუ-იორკის, ზოგი ლონდონის დროით.

ეკიმ ახლალა შეამჩნია, რომ ყველა საათის თავზე დიდი ასოებით ქალაქის სახელი იყო დაწერილი.

– რატომ?  
– იმიტომ, რომ ჩვენს სასტუმროში ყველა სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოდის და უნდათ იცოდნენ, მათ სამშობლოში ახლა თენდება თუ ღამდება. როდესაც თავისიანები მოენატრებათ, ამ საათებთან მოდიან ხოლმე და წარმოიდგენენ, რა ხდება ახლა მათ სახლში. მაგალი-

თად ასე: უი, ბუდაპეშტში ახლა 2 საათი ყოფილა, ჩემი  
ბიჭი ალბათ უკვე სკოლიდან მოვიდოდა...

- ბუდაპეშტი სად არის? – იკითხა ეკიმ.
- უნგრეთში.
- და პა-რა-დი-ა? – დამარცვლით წაიკითხა ერთი  
საათის თავზე დაწერილი ქალაქის სახელი.
- ჰო, – თქვა პორტიერი ცოტა შეცბუნებული ხმით.
- ეგ შორს არის.

ეკის უნდოდა ეკითხა, მაინც სადო, მაგრამ ამასობა-  
ში კარი გაიღო და პოლში მისი მშობლები შემოვიდნენ.

- აქ რა გინდა, ხომ თქვი, ეზოში ვიქნებიო.
- მერე ვინ გამაჩერა ეზოში... – ჩაილაპარაკა თავის-  
თვის ეკიმ და მშობლებს ნომერში გაჰყვა.

## ფრედერიკი და ხმა

ლამე ეკი ხმაურმა გამოაღვიძა. როგორც ჩანს, სასტუმროში სტუმრები მოდიოდნენ, რადგან დილამდე ჰოლის კარი არ გაჩერებულა. ეკის გარკვევით ესმოდა, როგორ მიათრევდა შვეიცარი ჩემოდნებს და როგორ ცდილობდა პორტიე, სტუმრები ნომრებში დროულად გადაეწყილებინა.

— თუ შეიძლება ჩქარა, ძალიან მეძინება, — მოესმა ეკის კრუტუნისმაგვარი ხმა და ხელახლა ჩაეძინა.

როდესაც გაიღვიძა, ნომერში აღარც დედა იყო და აღარც მამა. არც უცხო ქალი, ანუ ძიძა ჩანდა. გარეთ მშვენიერი ამინდი იდგა და ეკის გაუხარდა, რომ კიდევ ერთი დღე შეეძლო გაეტარებინა მეთვალყურის გარეშე.

სასწრაფოდ ჩაიცვა და კიბეებზე ჩაირბინა. ის იყო ეზოში გავარდნას აპირებდა, რომ ზურგს უკან ისევ მოესმა ხმა.

— ჩუმად, თორემ ყველას გააღვიძებ!